BMJ Learning

მუშაობის დაწყება ვებგვერდზე BMJ Learning

BMJ Learning მედიცინის პროფესიონალებს საშუალებას აძლევს აიმაღლონ ცოდნა და განივითარონ კარიერა. წარმოგიდგენთ 1000-ზე მეტ სასწავლო მოდულს 70-ზე მეტ სპეციალობაში, რათა ხელი შევუწყოთ ექიმებსა და ჯანდაცვის პროფესიონალებს უწყვეტი სამედიცინო განათლების მიღებასა და დიპლომის შემდგომ მომზადებაში.

როგორ დავიწყო ვებგვერდის გამოყენება?

მუშაობის დაწყება მარტივია - უბრალოდ მიჰყევით ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციას.

1. რეგისტრაციისთვის შედით საიტზე cds.bmj.com და დააჭირეთ ღილაკს „რეგისტრაცია“, ან, თუ უკვე ხართ დარეგისტრირებული, დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“ და შეიყვანეთ თქვენი მონაცემები. რეგისტრაციის შემდეგ BMJ Best Practice-სთან წვდომისთვის ყოველთვის დაგჭირდებათ ამ გვერდის გავლა, ამიტომ დარწმუნდით, რომ მონიშნეთ გვერდი რჩეულებში, რათა შემდგომ მარტივად მოახერხოთ ვებგვერდზე შესვლა.

2. თუ აირჩიეთ „რეგისტრაცია“, გადახვალთ გვერდზე, სადაც უნდა შეიყვანოთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი. ამის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „რეგისტრაცია“.

3. ელექტრონული ფოსტის მისამართის შეყვანის შემდეგ გაიხსნება მოკლე „სარეგისტრაციო ფორმა“. შეავსეთ ეს ფორმა და ბოლო ფანჯარაში შეიყვანეთ წვდომის კოდი, რომელსაც მიიღებთ ელექტრონული ფოსტით თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე. დააჭირეთ ღილაკს „რეგისტრაცია“.

4. მას შემდეგ, რაც დარეგისტრირდებით ან შეხვალთ სისტემაში, თქვენ მოხვდებით თქვენს BMJ Hub -ში. დააჭირეთ ღილაკს „სწავლება და შეფასება“ – გადახვალთ ვებგვერდზე BMJ Learning.



5.ვებგვერდ BMJ Learning–ზე გადასვლის შემდეგ თქვენ მოხვდებით თქვენს პერსონალურ მთავარ გვერდზე, რომელიც პერსონალიზებულია თქვენ შესახებ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით. ამ ინფორმაციის შემოწმება ან განახლება შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, რისთვისაც უნდა აირჩიოთ გვერდის ზედა ნაწილში არსებული პანელი „მონაცემების განახლება“.

თუ რეგისტრაციის ან სისტემაში შესვლის დროს პრობლემა წარმოიშვა, დაგვიკავშირდით: support@bmj.com

cds.bmj.com

მოდულები

შესასრულებელი მოდულების შერჩევა

ძებნა

თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის სანახავად შეგიძლიათ გამოიყენოთ ძებნის ველი, რომელშიც უნდა შეიყვანოთ თემის დასახელება ან საკვანძო სიტყვები. ძებნის შედეგად გამოჩნდება თქვენს საძიებო თემასთან დაკავშირებული მოდულების სია.

მოდულების მიმოხილვა

ვებგვერდზე სპეციალობების მიხედვით ყველა მოდულის სანახავად შეგიძლიათ გამოიყენოთ მიმოხილვის ფუნქცია. მოდულების დახარისხება შესაძლებელია ანბანისა და საკვანძო სიტყვების მიხედვით. ასევე შეგიძლიათ აირჩიოთ მოდულების ჯგუფი ფანჯრის მარჯვენა მხარეს მოცემული სიიდან ან აირჩიოთ ანბანის ასო, რათა იხილოთ მოდულების სია შერჩეულ კატეგორიაში.

მოდულების არჩევა მთავარ გვერდზე

BMJ Learning-ის თქვენს პერსონალურ მთავარ გვერდზე მოცემულია რჩეული მოდულები. ისინი შერჩეულია პირადად თქვენთვის თქვენი პროფესიის, სპეციალობისა და ქვეყნის შესაბამისად. ნებისმიერი მათგანის სანახავად უბრალოდ მონიშნეთ მოდულის სახელწოდება.

მოდულის შესახებ ინფორმაციის ნახვა

ნებისმიერი მოდულის შერჩევისას მოხვდებით საინფორმაციო გვერდზე, რომელიც იმის გარკვევაში დაგეხმარებათ, რამდენად საინტერესოა თქვენთვის აღნიშნული მოდული. ამ გვერდზე დაგხვდებათ:

- მოდულის მოკლე მიმოხილვა, მათ შორის - მოდულის მიზნები,
- მოდულის დასრულებისათვის საჭირო მიახლოებითი დრო,
- მოდულის ავტორები,
- ორგანიზაციები, რომლებიც ახდენენ მოდულის აკრედიტაციას,
- მოდულის ტიპი და შეიცავს თუ არა ის აუდიო- ან ვიდეო მასალას.

მოდულის დასრულება

მოდულის საინფორმაციო გვერდიდან შეგიძლიათ აირჩიოთ „მოდულის დაწყება“ ან „პორტფოლიოში დამატება“. შეგიძლიათ დაამატოთ მოდული თქვენს BMJ Portfolio-ს და მოგვიანებით დაასრულოთ იგი. თუ არ აირჩევთ ვარიანტს „მოდულის დაწყება“, ის ავტომატურად დაემატება თქვენს BMJ Portfolio-ს.

მას შემდეგ, რაც აირჩევთ ვარიანტს „მოდულის დაწყება“, შეგიძლიათ იმუშაოთ მოდულის გვერდზე, დააჭიროთ ეკრანის ქვედა ნაწილში არსებულ ღილაკს „გაგზავნა“, რათა თქვენი პროგრესი ავტომატურად შეინახოს. ასევე შეგიძლიათ დაბრუნდეთ უკან, რისთვისაც უნდა დააჭიროთ ღილაკს „უკან“, ან ამობეჭდოთ გვერდი.

სერტიფიკატის მიღება

მოდულის დასრულების შემდეგ შეგიძლიათ მიიღოთ სერტიფიკატი, რისთვისაც უნდა აირჩიოთ „სერტიფიკატის მიღება“. შეგიძლიათ ამობეჭდოთ სერტიფიკატი ან გადმოიწეროთ ის და შეინახოთ თქვენს ჩანაწერებში. შეგიძლიათ აირჩიოთ, რომელი ორგანიზაცია მოახდენს მოდულის აკრედიტაციას მააკრედიტებელი ორგანიზაციების მოცემული სიიდან. ასევე შეგიძლიათ მოგვიანებით მიიღოთ თქვენი სერტიფიკატი თქვენი BMJ Portfolio-დან.

მოდულების ტიპები

წაიკითხეთ, დაფიქრდით, უპასუხეთ შემუშავებულია იმისათვის, რომ შეძლოთ თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის წაკითხვა, სხვა მომხმარებლების კითხვებსა და მოსაზრებებზე დაფიქრება და პასუხის გაცემა საკუთარი მოსაზრებებისა და ვარიანტების წარდგენით.

ინტერაქტიული ავადმყოფობის ისტორია
რეალური კონსულტაციების გამოყენებით BMJ Learning გაგატარებთ დაავადების მასალაზე, შეამოწმებს თქვენს ცოდნას მთელი მოდულის განმავლობაში და შექმნის ინტერაქტიულ სამუშაო გარემოს თქვენ მიერ შეძენილი ცოდნის გამოყენების სახელმძღვანელოს სახით.

დროული ინფორმაცია
აღნიშნული მოდულები ნათელი და ლაკონური ფორმით გაწვდიან გავრცელებული დაავადებების შესახებ დაჩქარებული სწავლისთვის ყველაზე საჭირო ინფორმაციას, რომელიც შეგიძლიათ დაამატოთ თქვენს პროფესიულ დოკუმენტაციას.

შეკითხვები პასუხების რამდენიმე ვარიანტით
აღნიშნული მოდულები დაკავშირებულია BMJ Journals-ის სტატიებთან და შედგება კითხვებისგან კონკრეტული სტატიის გააზრების შესამოწმებლად.

ვიდეო, ანიმაცია და აუდიო
ჩვენ გვაქვს ამ ტიპის მოდულების ფართო არჩევანი, სადაც შეგიძლიათ მოუსმინოთ ან უყუროთ ექსპერტების მიერ საკვანძო თემების განხილვას.

cds.bmj.com